სამუშაო ჯგუფი
ახალი ტექნოლოგიები
პრეზიდენტი
კარლო ალბერტო მარკოზ

ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირი

სახელმძღვანელო დისტანციური სანოტარო დამოწმების შესახებ

ტექსტი დამტკიცებულია საორგანოზაციო კომიტეტის მიერ

2021 წლის 26 თებერვალს

პრეამბულა

მრავალი წელია ახალი ტექნოლოგიები წარმოადგენს სანოტარო პრაქტიკის განუყოფელ თვისებას, კერძოდ კი იმ პროცედურების, რომლებიც წინ უსწრებს ან ერთვის თავად სანოტარო მოქმედებას, საზოგადოებრივ ორგანოებთან კომუნიკაციას და ჩანაწერების წარმოებას.

კოვიდ-19 პანდემიამ და საინფორმაციო ტექნოლოგიებში გლობალურმა განვითარებამ დააჩქარა ამ ტექნოლოგიების გამოყენება თითქმის ყველა სფეროში; სწორედ ამ მიზეზით, მთელი მსოფლიოს ნოტარიატებს მოუხდათ ისეთი გადაწყვეტილებების შემუშავება, რომლებიც საშუალებას მისცემდა მათ პროფესიას ემუშავათ ამ ახალ გარემოში, სანოტარო პრაქტიკის ფუნდამენტური პრინციპების შეწირვის გარეშე.

აღნიშნული სახელმძღვანელო მიზნად ისახავს შეავსოს ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის ზოგადი პრინციპები ახალი ტექნოლოგიებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სანოტარო მოქმედების განხორციელებაზე და ვირტუალურ კონტექსტში ავთენტური დოკუმენტების შედგენაზე.

ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის ყველა წევრი ნოტარიატისათვის, ციფრულ ასპარეზზე მათი პროგრესისა და განვითარების დონის მიუხედავად, რათა გამყარდეს ნდობა საჯარო სანოტარო ფუნქციისადმი და მათ მიერ უზრუნველყოფილი სამართლებრივი გარკვეულობისადმი.

ნოტარიუსის მიერ მხარეთა იდენტიფიკაცია

1) რა ციფრული საიდენტიფიკაციო სისტემაც არ უნდა იყოს გამოყენებული, ის არ უნდა გამორიცხავდეს ნოტარიუსის მიერ მონაწილე პირის პირდაპირ და უშუალო იდენტიფიკაციას, ნოტარიატის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, დისტანციური შესრულება არ უნდა უშლიდეს ხელს ნოტარიუსს განახორციელოს, სათანადო საშუალებებით, ქმედუნარიანობის დადგენა და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის შემოწმებები.

ტექნოლოგიების მუდმივი განვითარება უნდა იყოს დამატებითი საშუალება, რომელიც დახმარებას გაუწევს ნოტარიუსს მხარეთა იდენტიფიცირების კოგნიტურ პროცესში, მაგალითად, ელექტრონული პირადობის დოკუმენტების გამოყენება ან ოფიციალურ მონაცემთა ბაზებზე წვდომის საშუალება.

დოკუმენტის მფლობელის იდენტიფიკაციისთვის საჭირო პირადი მონაცემების შეფასებისას, ნოტარიუსს მეტი დარწმუნებულობისათვის შეუძლია გამოიყენოს ციფრული მონაცემები დამატებითი ელემენტის სახით, მაგრამ ეს არასდროს არ უნდა იყოს გამოყენებული, როგორც ერთადერთი საშუალება.

2) ნოტარიუსი უნდა დარჩეს ერთპიროვნულად პასუხისმგებელი პირთა იდენტიფიკაციაზე, მაშინაც კი, თუ იგი გადაწყვეტს მოქმედება გააგრძელოს ციფრული საშუალებების დახმარებით. უფრო მეტიც, ნოტარიუსს უნდა შეეძლოს პირთა ვინაობის დასაზუსტებლად გამოყენებული საშუალებების შერჩევა, იქნება ეს მხარეთა პირადად ცნობა თუ ციფრული საიდენტიფიკაციო მეთოდი კომპეტენტური კანონმდებლის მიერ დადგენილი წესის ფარგლებში.

მხარეთა ნების თავისუფალი გამოხატვისა და მონაცემთა გადაცემის უსაფრთხოების შემოწმება.

3) მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი ან ნოტარიატის მიერ დამტკიცებული IT პლატფორმა უნდა იქნას გამოყენებული მხარეებთან დისტანციური ურთიერთობისთვის. პლატფორმამ უნდა უზრუნველყოს პირადი მონაცემების გაცვლის კონფიდენციალურობა, ასევე უსაფრთხო და მკაფიო ურთიერთქმედება. მან მკაცრად უნდა დაიცვას პროფესიული საიდუმლოება და უნდა შეესაბამებოდეს მონაცემთა დაცვის ყველა სტანდარტს, განსაკუთრებით კონფიდენციალური მონაცემების ტრანსსასაზღვრო გადაცემასთან დაკავშირებით.

4) ნოტარიუსის მიერ ავთენტური აქტის შედგენისას შესრულებული საჯარო ფუნქციის გათვალისწინებით, გამოყენებული პლატფორმა უნდა იყოს საჯარო და, თუ ეს შეუძლებელია, კერძო პლატფორმების გამოყენება უნდა შეფასდეს დიდი სიფრთხილით, განსაკუთრებით კონფიდენციალურ მონაცემთა გადაცემასთან და ვიდეოკონფერენციის უსაფრთხო მართვასთან დაკავშირებით.

5) კონფიდენციალურ მონაცემთა სამართლებრივი შესაბამისობისა და უსაფრთხოების შეძლებისდაგვარად უზრუნველსაყოფად, პლატფორმის მართვა ან ზედამხედველობა უნდა მოხდეს უშუალოდ ნოტარიატის ან ამ მიზნით შექმნილი ორგანოს მიერ.

6) ნოტარიუსს უნდა ჰქონდეს უფლება რაიმე სახის ეჭვის არსებობის შემთხვევაში, უარი თქვას დისტანციური ავთენტური დოკუმენტის შედგენაზე. აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს ავთენტური დოკუმენტის შედგენისას წინასწარი ონლაინ კონსულტაციებისა და ვიდეოკონფერენციების ჩატარების მნიშვნელოვანებაზე, ასევე ციფრული ფორმატით მიღებული ორიგინალი დოკუმენტებისა და ყველა სხვა ელემენტების, რომელიც ხელმისაწვდომია ნოტარიუსისთვის, ანალიზზე.

სისტემის შესაბამისობა ტერიტორიული კომპეტენციის წესებთან

7) აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს დისტანციური ავთენტური დოკუმენტების შემოღებამ ნოტარიუსთა ტერიტორიული კომპეტენციის მარეგულირებელ წესებზე, სადაც არსებობს ასეთი წესები. ვინაიდან კიბერ სივრცეს არ აქვს საზღვრები, შესაძლოა საჭირო გახდეს ახალი მაკავშირებელი ფაქტორების გათვალისწინება ვიდეოკონფერენციის ან ავთენტიფიკაციის სხვა ელექტრონულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული საშუალებებისთვის, მათ შორის, მაგალითად, წარმოდგენილი პირის საცხოვრებელი ადგილი ან მოქალაქეობა ან ქონების ადგილმდებარეობა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების საგანს.

ნოტარიუსის კომპეტენციის არეალი შეიძლება გაფართოვდეს სანოტარო ბიუროს „გაზრდილი“ კონცეფციის ჩათვლით: ამ სცენარში, სანოტარო მოქმედების შესრულების ტერიტორია იქნება სანოტარო ბიურო, იმის გათვალისწინებით, რომ ის მდებარეობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ტერიტორიულ საზღვრებში, სანოტარო მოქმედებაში მონაწილე მხარეთა ფიზიკური გეოლოკაციის მიუხედავად.

8) დისტანციური ავთენტური დოკუმენტების შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს ყველა ქვეყნის მოქალაქისათვის წვდომის შესაძლებლობა, ტერიტორიული შეზღუდვის გარეშე, განსაკუთრებით საზღვარგარეთ მცხოვრები კლიენტების დახმარებისათვის, რომლებსაც ექნებათ წვდომა იგივე პირობებით, როგორც რეზიდენტებს. საერთაშორისო კერძო სამართლის ეროვნულმა წესებმა უნდა დაადგინოს დისტანციური აქტების ნამდვილობის განსაზღვრისათვის საჭირო მაკავშირებელი ფაქტორები, რომლებზედაც გავრცელდება მისი კანონმდებლობა იმ შემთხვევებში, როცა მხარეები არ არიან მის იურისდიქციაში.

ამასთან, ასევე მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დებულებების შემოღების აუცილებლობის გათვალისწინება, რომელიც მოიცავს ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო ტექნოლოგიურ საშუალებებს, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სხვადასხვა ციფრულ სანოტარო პლატფორმებს შორის (მაგ., იდენტიფიკაციის ეროვნული საშუალებების ტრანსსასაზღვრო გამოყენებისათვის), ციფრული აქტების მიღებას, მათ გავრცელებას და აღსრულებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ განსხვავება იმ ციფრულ ავთენტურ დოკუმენტებსა, რომლებიც მათი ბუნებისა თუ გამოყენების გამო განკუთვნილია გავრცელებისათვის (როგორიცაა მინდობილობა), და ციფრულ ავთენტურ დოკუმენტებს შორის, რომლებიც შედგენილი უნდა იყოს იმ ტერიტორიაზე მოქმედი ნოტარიუსის მიერ, სადაც გამოყენებული იქნება აღნიშნული დოკუმენტი (მაგ. უძრავი ქონების და კომპანიების შესახებ კანონის სფეროში), ასევე მნიშვნელოვანია კომპეტენტური კანონმდებლის მიერ დადგენილი მიღებისა და აღიარების შესახებ სხვადასხვა წესების გათვალისწინება.

ავთენტური დოკუმენტების ხელმოწერა

9) აუცილებელია ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც საიმედოა და ასევე, ყველასთვის მარტივი მოსახმარებელი იქნება. ქვეყნებს, რომლებიც უკვე იცნობენ ავთენტური დოკუმენტების ციფრულ ფორმატში შედგენას, შეუძლიათ მოახდინონ

თავიანთი სისტემის ადაპტირება კლიენტების ელექტრონული ხელმოწერების მისაღებად, რაც უზრუნველყოფს დამმოწმებელი ნოტარიუსის იურისდიქციის მიერ აღიარებული უსაფრთხოების ყველაზე მაღალ დონეს, ნოტარიუსის მიერ დროდადრო ასეთი ხელმოწერების გაცემის შესაძლებლობით.

იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის მიღებული დებულება ციფრული დოკუმენტების შესახებ, შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ნოტარიუსის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები მხარეთა აშკარა თანხმობის განცხადების შემდეგ.

შესაძლებელია ასევე გათვალისწინებული იყოს ისეთი სიტუაციები, როდესაც ავთენტური აქტი შედგენილი იქნება სხვადასხვა იურისდიქციაში მოქმედი ნოტარიუსების მიერ, თითოეული მათგანი მიიღებს რა მის წინაშე წარდგენილი პირის განცხადებას, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ გარიგებაში მონაწილე ორივე მხარის ეროვნული კანონმდებლობა უშუალოდ ითვალისწინებს ხსენებულს.

შესაძლებელია ასევე გათვალისწინებული იყოს დებულება, როცა ნოტარიუსი თავად შეძლებს მხარეთა ციფრული ხელმოწერის გაცემას, თუ ისინი მოითხოვენ მის მომსახურებას.

ავთენტური დოკუმენტების გარკვეული კატეგორიის შეზღუდვა

10) შეიძლება განხილულ იქნას ავთენტურ დოკუმენტებზე დისტანციური წვდომის სისტემების გამოყენების შეზღუდვა, რომლებიც ცალმხრივი ან კონსტიტუციური ხასიათის გამო არ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს (კერძოდ, მინდობილობები და ასოციაციების ან კომპანიებს სადამფუძნებლო დოკუმენტები ან აღნიშნულში შესწორებები).

ეს ხელს არ უშლის შემდგომ კვლევას ამ სფეროში, რათა დისტანციური სანოტარო მოქმედების კონტექსტში, იმ დროს, როდესაც ნებადართულია ტექნოლოგიური საშუალებები, შეისწავლოთ ნებართვის გაცემის შესაძლებლობა ყველა სახის იურიდიულ გარიგებაზე, რომლებიც შეესაბამება ზემოთ მითითებულ პრინციპებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აქტის არსთან და/ან მხარეთა რაოდენობასთან დაკავშირებით.

დასკვნა:

ნოტარიუსი უნდა წარმოადგენდეს დისტანციური ელექტრონული ავთენტური დოკუმენტის შექმნის მთავარ ფიგურას.

ტექნოლოგიური საშუალებები ვერ შეცვლის ნოტარიუსის პასუხისმგებლობას დოკუმენტის კანონიერებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, თუმცა უნდა ქონდეს ამ პასუხისმგებლობის გამაწონასწორებელი ძალა და მხარდაჭერა, რომელიც ბევრად სცილდება ტექნოლოგიურ უსაფრთხოებას.

ტექნოლოგია უნდა წარმოადგენდეს ნოტარიუსის მომსახურების ინსტრუმენტს ნოტარიუსის მიერ ნაკისრი საჯარო ვალდებულებების შესრულებისას, კერძოდ მოახდინოს წარმოდგენილი პირის იდენტიფიკაცია, მისი ქმედუნარიანობისა და

ნების გამოხატვის შემოწმება, აგრეთვე დარწმუნდეს თანხმობისა და დოკუმენტის კანონიერების დამმახინჯებელი ფაქტორების არარსებობაში.

მოკლედ, ნოტარიუსი პირადად არის პასუხისმგებელი საკუთარ მოქმედებაზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მის ეროვნულ კანონმდებლობასა და ლათინური ნოტარიატის სადამფუძნებლო პრინციპებს.

დისტანციური ავთენტური დოკუმენტი მოითხოვს ჩვენგან პირადად გამოცხადების პრინციპისა და ნოტარიუსსა და მონაწილე მხარეებს შორის კონტაქტის სხვა საშუალებების გადახედვას. მნიშვნელოვანი არის, არა მონაწილე მხარის ფიზიკური გამოცხადება ნოტარიუსის წინაშე, არამედ მოქმედი ნოტარიუსის წინაშე პირდაპირი დასწრება, თუნდაც ასეთი ყოფნა იყოს ტექნოლოგიური პლატფორმის საშუალებით.

ციფრულად შედგენილ ავთენტურ დოკუმენტს არანაკლები ძალა აქვს, ვიდრე ქაღალდზე გაფორმებულ საჯარო დოკუმენტს. უბრალოდ ეს არის იგივე შედეგის მისაღწევად კიდევ ერთი საშუალება, რომელიც მხარეებთან დისტანციური კომუნიკაციის საშუალებას იძლევა.

ახალი ტექნოლოგიების გამოყენება სანოტარო პრაქტიკაში ემყარება სამ ფუნდამენტურ პირნციპს:

- **ინვესტიცია** უახლეს ტექნოლოგიურ სისტემებში, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების მაღალ დონეს.

- **ტრენინგი,** როგორც ნოტარიუსთა, ისე მონაწილე პირთა ციფრული დოკუმენტების გამოყენების ფართო სპექტრის ათვისების მიზნით.

  საჭიროა ციფრული ტექნოლოგიის სფეროში უწყვეტი განათლების მიღების ხელშეწყობა, რათა ნოტარიუსებმა შეძლონ ციფრული უნარების ათვისება და ახალი ტექნოლოგიების ეფექტურად და სამართლებრივად უსაფრთხო გზით გამოყენება.

- **კანონმდებლობა:** ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა მიიღოს შესაბამისი დებულებები ციფრულ სანოტარო დოკუმენტებთან, მათ შექმნასთან, მოქმედების სფეროსთან და ეფექტურობასთან დაკავშირებით. ყველა კანონი, რომელიც არეგულირებს ავთენტური დოკუმენტების ფორმას ეროვნულ და შედარებით სამართალში, უნდა ითვალისწინებდეს ყველა შესაძლებლობას, რომელსაც სთავაზობს ახალი ტექნოლოგიები და უნდა აღიარონ მათი ღირებულება და ეფექტურობა.